შპს „დ.თ. კომპანი“
არქიტექტურულ-კონსტრუქციული ბიურო

საქართველო, თბილისი, ვაშლიჯვარი 4, ბინა 40
T: 599714104; ელ-ფოსტა: econom print27@gmail.com

საქსპერტო კონსტრუქციული დასკვნა

ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N167. თანამესაკუთრეების მიწის ნაკვეთზე მდებარე ნაგებობის პირველ სართულზე (კოდი N 01.72.14.034.042) ფასადზე განსახორციელებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესაძლებლობის და უსაფრთხოების შესახებ

შპს „დ.თ. კომპანი“-ს სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე მდებარე ორსართულიან შენობას. მის პირველ სართულში ფართზე (კოდი N 01.72.14.034.042) ფასადზე განხორციელებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფანჯრის ღიობის ჩაღრმავების) შესაძლებლობის და უსაფრთხოების დასადგენად.

აღნიშნული შენობა წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას, კონსტრუქციული სქემის მიხედვით ნაგებობა მსხვილბლოკური ტიპისაა, სართულშუა გადახურვები შესრულებულია ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილებით.

შენობას სართულშუა გადახურვების დონეებში გააჩნია ანტისეისმური სარტყელები ანაკრები რკ/ბეტონის სასართულე ბლოკებისაგან.

ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ფართის მფლობელს თამარ ჩიქავა (პ/ნ 01008008786) (კოდი N 01.72.14.034.042) სურვილი აქვს შენობის პირველ სართულზე კუთვნილ ფართში რეკონსტრუქცია შეასრულოს. კერძოდ, ერთი ფანჯრის ღიობი, რომელიც ნაჩვენებია ფოტომონტაჟზე ჩააღრმაოს 1მ-ით ღიობის სიგანის შენარჩუნებით.

რეკომენდაციები სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად

ფოტომონტაჟზე მითითებული ფანჯრის ღიობის ჩასაღრმავებლად, დაიშალოს აგურის წყობა ასფალტის ნიშნულამდე.

ღიობი დემონტაჟის შემდეგ მოჩარჩოვდეს ფოლადის კუთხოვანებით.

დასკვნა

შპს „დ.თ. კომპანი“-ს მიერ შესრულებული ვიზუალური დათვალიერების და ნაგებობის შესწავლის საფუძველზე, ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N167 თანამესაკუთრეების საკუთრებაში არსებულ ნაგებობის პირველი სართულის ფართზე კოდი N01.72.14.034.042 ფასადზე განსახორციელებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, წარმოდგენილი ფოტომონტაჟის შესაბამისად, შესაძლებლად მიგვაჩნია. ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების და კონსტრუქციული ნაწილის შესრულების გათვალისწინებით, არსებული ნაგებობის მდგრადობა არ გაუარესდება.

შპს „დ.თ. კომპანი“
დირექტორი: თ. ბაღათურია

შპს „დ.თ. კომპანი“
კონსტრუქტორი: ი.ცერცვაძე

შპს „დ.თ. კომპანი“
კონსტრუქტორი: მ.ვაშაკიძე